N 30-1 30 სექტემბერი 2025 წ.

საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაციის განცხადება

საზოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე გაცნობებთ, რომ 2025 წლის 7 სექტემბერს, რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომზე მიმდინარე მოტოდრაგის მე-2 ეტაპზე მომხდარი ფაქტის საფუძველზე, გაიმართა საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაციის გამგეობის რიგგარეშე კრება.

შეხვედრაზე განხილულ იქნა აღნიშნული შემთხვევა. გამგეობის წევრებმა მოუსმინეს შეჯიბრის ორგანიზატორის, მსაჯების და მრბოლელი გიორგი აბაშიძის პოზიციებსა და განმარტებებს.

მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, გამგეობის წევრებმა განიხილეს მოცემული ფაქტი რომელიც ეწინააღმდეგება ფედერაციის პრინციპებს, ნებისიმერი სახის აგრესია და შეურაცხმყოფელი ქმედება ნეგატიურ ფონს ქმნის და აფერხებს მოტოსპორტის განვითარებას საქართველოში. მოცემული პრეცედენტი გახდა საფუძველი, ფედერაციის მიერ განსაზღვრულ წესებში მკაცრად ჩამოყალიბდეს დისციპლინარული და სპორტული ეთიკის წესი რომლის მიზანიც არის პრევენციული ზომების გამკაცრება:

ახალი რეგულაციის თანახმად:

- თუ ფედერაციის ეგიდით ჩატარებულ ნებისმიერ ღონისძიებაზე, ფედერაციაში აფილირებული პირი, ფედერაციაში აკრედიტირებული კლუბის წარმომადგენელი, მრბოლელი, მრბოლელის გუნდის წარმომადგენელი, ღონისძიების მსვლელობის დროს განახორციელებს დისკრედიტაციულ ქმედებას, მათ შორის ნებისმიერი სახის აგრესიას ან/და შეურაცხმყოფელ ქმედებას, არსებული პიროვნება დაუყონებლივ იქნება გაძევებული ღონისძიების გამართვის ადგილიდან და მის მიმართ ამოქმედდება ქვემოთ მოყვანილი შესაბამისი სანქცია. იმ შემთხვევაში თუ დისკრედიტაციას ეწევა პიროვნება რომელიც არ არის აფილირებული ფედერაციასთან, არის უბრალოდ გულშემატკივარი, მაყურებელი, დამსწრე- საორგანიზაციო გუნდის მიერ გატარებული იქნება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ქმედებები.

საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაცია ს/ნ 406108796
ქ. თბილისი გ.შატბერაშვილის 4 ბ. 80, მობ: +995 579 29 29 49, ელ-ფოსტა: info@motofederation.ge

- თუ საქართველოს მოტოსპორტის ფედერაციაში აფილირებული პირი, ფედერაციაში აკრედიტირებული კლუბი, კლუბის წარმომადგენელი, მრბოლელი, მრბოლელის გუნდის წევრი საჯარო ან მედია სივრცეში გააკეთებს დისკრედიტაციის შემცველ განცხადებას ღონისძიების ორგანიზატორის, მონაწილე კლუბის, მრბოლელის, ოფიციალური პირის, მსაჯის, ფედერაციის ან მისი წევრების/თანამშრომლების მიმართ, მის მიმართ გატარდება შემდეგი ადმინისტრაციული სანქციები:

  მრბოლელი - დისკვალიფიკაცია მიმდინარე სეზონის ყველა მომდევნო ღონისძიებაში და გაუქმდება მიმდინარე სეზონის შედეგები.

  კლუბი - შეუჩერდება ფედერაციის აკრედიტაცია 1 წლის ვადით.

  ფედერაციისათან აფილირებული პირი: გაირიცხება ფედერაციიდან 1 წლის ვადით

- განმეორების შემთხვევაში,
  მრბოლელი - დისკვალიფიცირდება ფედერაციის ეგიდით ჩატარებულ ყველა ღონისძიებაში მომდევნო წლის განმავლობაში, გაუქმდება როგორც მიმდინარე, ასევე წინა მოტოსეზონის ქულები და მიღებული რეგალიები.

  კლუბი - შეუჩერდება ფედერაციის აკრედიტაცია 4 წლის ვადით.

  ფედერაციისათან აფილირებული პირი: გაირიცხება ფედერაციიდან 4 წლის ვადით და დაეკისრება ფინანსური ჯარიმა.

აღნიშნული რეგულაცია შემოღებულია იმისთვის, რომ მოტოსპორტში ჩამოყალიბდეს და შენარჩუნდეს ჯანსაღი გარემო. მოტოსპორტი საზოგადოების მაღალი ინტერესის არეშია და თითოეულ ჩვენთაგანს გვაქვს პასუხისმგებლობა, ვიყოთ მისაბაძი მაგალითი როგორც მოტოსპორტის მოყვარულთათვის, ასევე ახალგაზრდებისა და მომავალი თაობებისთვის.

საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაცია ს/ნ 406108796
ქ. თბილისი გ.შატბერაშვილის 4 ბ. 80, მობ: +995 579 29 29 49, ელ-ფოსტა: info@motofederation.ge

ფედერაციის პოზიცია

საქართველოს მოტოსპორტის ფედერაცია მკაცრად გმობს ყველანაირ აგრესიას, ძალადობასა და მიზანმიმართულ შეურაცხმყოფელ ქმედებას. ჩვენი ვალია, რომ ფედერაციამ, კლუბებმა და მრბოლელებმა ერთად შევქმნათ ჯანსაღი გარემო მოტომოყვარულთა საზოგადოებაში.

ყველა დავა თუ უკმაყოფილება უნდა განიხილებოდეს ეთიკისა და საკანონმდებლო ჩარჩოს ფარგლებში, სპორტული წესებისა და დადგენილი რეგულაციების დაცვით

დამატებით განხილული საკითხები

- შეჯიბრის ორგანიზატორის ქმედებების შეფასება და არსებული უთანხმოების აღმოფხვრისა და პრევენციის ღონისძიებები;
- შეჯიბრის მსვლელობის შეწყვეტის მიზეზი.

გამგეობის წევრებმა აღნიშნეს, რომ შექმნილ სიტუაციაში შეჯიბრის დირექტორმა თავისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე სწორად იმოქმედა.

სასტარტო მონაკვეთზე თავმოყრილი ხალხმრავლობის შედეგად წარმოქმნილმა უკონტროლო მდგომარეობამ გამოიწვია შეჯიბრის რამოდენიმეჯერ შეჩერება ასევე მოცემული გარემოება საფრთეხს წარმოადგენდა მონაწილეებისთვის, გულშემატკივრებისთვის და შეჯიბრის სამსაჯო პერსონალისთვის. მოცემული ფაქტორების გათვალისწინებით, ღონისძიების დირექტორმა მიიღო შეჯიბრის შეწყვეტის გადაწყვეტილება. აღნიშნული ნაბიჯი გამგეობის წევრების შეფასებით სწორი და გამართლებული იყო.
მიმდინარე წლის 7 სექტემბერს ჩატარებული მოტოდრაგის მეორე ეტაპის შედეგები შეჯიბრების შეწყვეტამდე ითვლება ჩათვლილად, ხოლო დაუსრულებელი გარბენები განხორციელდება მიმდინარე წლის 4 ოქტომბერს.

საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაცია განაგრძობს გამჭვირვალე და სამართლიან პრაქტიკას სპორტში და რჩება დადგენილი წესებისა და პრინციპების ერთგული.

საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაცია ს/ნ 406108796
ქ. თბილისი გ.შატბერაშვილის 4 ბ. 80, მობ: +995 579 29 29 49, ელ-ფოსტა: info@motofederation.ge